



საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

ოქმი

თარიღი: 28 მაისი, 2015 წელი

დრო: 17:00 – 18:30 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ლაშა ტულუში – ლიბერალური აკადემია თბილისი, საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე
2. ნათია კუპრაშვილი – საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია, პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი
3. კახა გოგოლაშვილი – საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი
4. ანზორ დუნდუა – საქართველოს ენერჯო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია, მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი
5. მანანა წულაია – ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“, მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი
6. ნუკრი ყველაშვილი – ახალგაზრდული ალტერნატივა, მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი

7. ნინო ტლაშაძე – ადამიანის უფლებათა ცენტრი, მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი
8. ირაკლი პეტრიაშვილი – საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება, მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი

❖ პრეზენტაცია „სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის ჩამოყალიბება“

საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე მიესალმა საკოორდინაციო საბჭოს წევრებს და დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ საკოორდინაციო საბჭო თავმჯდომარის ხელმძღვანელობით აქტიურად მუშაობდა რამდენიმე მიმართულებით, მათ შორის ასოცირების ხელშეკრულების 412 მუხლით გათვალისწინებული სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის (ქართულ-ევროპული პლატფორმა) ფორმირების საკითხზე.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს წარუდგინა პრეზენტაცია „ეროვნული პლატფორმა - ახალი ინსტიტუტების ფორმირება“. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო პლატფორმის სტრუქტურა და არჩევის წესი. სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა წარმოდგენილია 18 კაციანი შემადგენლობით, 12 წევრს ირჩევს კრება საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციებიდან 1 წლის ვადით, 3 წევრს კი – კომისია პლატფორმის არაწევრი საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან. სამ გარანტირებულ წევრს წარმოადგენს საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება, მეწარმეთა/დამსაქმებელთა ასოციაცია და პლატფორმის თავმჯდომარე. წევრების წარდგენა მოხდება ჯგუფების მიერ, წინასწარ განსაზღვრული მიმართულებების მიხედვით. არსებობს შემდეგი მიმართულებები: ტრანსპორტი; სამრეწველო და საწარმოო პოლიტიკა; სამთო-მოპოვებითი საქმიანობა; კორპორაციული სამართალი, აღრიცხვა, აუდიტი და კორპორაციული მმართველობა; ფინანსური მომსახურება; ტურიზმი; სოფლის მეურნეობა და სასოფლო განვითარება; მეთევზეობა და საზღვაო მმართველობა; თანამშრომლობა კვლევების ტექნოლოგიების განვითარებისა და დემონსტრირების სფეროში; მომხმარებელთა პოლიტიკა; თანამშრომლობა ენერჯეტიკის სფეროში; გარემოს დაცვა; კლიმატთან დაკავშირებული ქმედებები; პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა; თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების სფეროში; მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება; თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოების სფეროში; თანამშრომლობა აუდიო-ვიზუალურ და მედია სფეროში; სამოქალაქო თავდაცვა; რეგიონალური განვითარება, თანამშრომლობა საზღვრისპირა და რეგიონალურ დონეზე; კონფლიქტის პრევენცია და კრიზისის მენეჯმენტი; კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტა; მიგრაცია და საზღვის მენეჯმენტი; გადაადგილება და რეადმისია; ფულის გათეთრება; ტერორიზმთან ბრძოლა; ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლა; ნარკოდანაშაულთან ბრძოლა; კანონის უზენაესობა ადამიანის უფლებები და

თავისუფლებები; დემოკრატია და კარგი მმართველობა; თანამშრომლობა საინფორმაციო საზოგადოების სფეროში; განათლება, ტრენინგი და ახალგაზრდობა; კულტურის სფეროში თანამშრომლობა; თანამშრომლობა სპორტისა და ფიზიკური აქტივობის სფეროში; დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები.

საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა ასევე იმსჯელეს ასოცირების ხელშეკრულების 241 მუხლით განსაზღვრული სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის ფორუმის ჩამოყალიბების საკითხზე.

დიალოგის ფორუმის 10 წევრის შერჩევა მოხდება კრების მიერ, 5 წევრს შეარჩევს კომისია, რომელიც დაკომპლექტდება შერეული წესით. კომისიის ერთ მესამედს შეადგენენ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები. პლატფორმის ხელმძღვანელი ორგანოების ერთობლივი სამუშაო შეხვედრები გაიმართება 3 თვეში ერთხელ. ფორუმი აქტიურად ითანამშრომლებს საქართველოს ეროვნულ პლატფორმასთან (შესაბამისი მიმართულებების სამუშაო ჯგუფებთან).

საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა განიხილეს სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის ფორმირებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.